T&C

Disneyland Paris – 4-კაციანი საგზური Miles&Smiles თიბისი კონცეპტ Visa Signature ბარათის მომხმარებლებისთვის

1. აქციის პირობები

1.1. კამპანიის მოქმედების თარიღი: 2026 წლის 10 ივლისი - 2026 წლის 10 აგვისტო (ჩათვლით);

1.2. კამპანიაში მონაწილეობს Miles&Smiles თიბისი კონცეპტ Visa Signature ბარათის მფლობელის (მიერ აღნიშნული ტიპის ბარათით შესრულებული გადახდები (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი) ნებისმიერი ბანკის პოს-ტერმინალის ან ელექტრონული კომერციის გამოყენებით. გადახდის უცხოურ ვალუტაში განხორციელებისას თანხის დაანგარიშება მოხდება გაახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

1.3. აქციაში არ მონაწილეობს შემდეგი გადახდები:

- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საქონლის/მომსახურების შეძენასთან.
- თიბისი ბანკის, ან TBC PLC-ის ჯგუფში შემავალი კომპანიების თანამშრომლების, მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებული პირების და მათი ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი, დედმამიშვილი, მშობელი) მიერ განხორციელებული გადახდები.
- Visa-ს თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი, დედმამიშვილი, მშობელი) მიერ განხორციელებული გადახდები.
- აზარტული თამაშების მიმწოდებლის სასარგებლოდ განხორციელებული გადახდები.
- კომუნალური ქსელების და ბიუჯეტში განხორციელებული გადახდები.
- ნებისმიერი არხიდან თანხის განაღდების გადახდა.
- საფინანსო დაწესებულების (ფინანსური ინსტიტუტის/ორგანიზაციის)

სასარგებლოდ განხორციელებული გადახდები.

- ფიზიკურ/იურიდიულ პირთან საბანკო ბარათით განხორციელებული ნებისმიერი ტიპის გადარიცხვა.
- საქართველოს კანონმდებლობით ან/და ბანკის პოლიტიკით/პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი უკანონონო/საეჭვო გადახდის ოპერაციები.
- ნებისმიერი ტიპის თანხის ჩარიცხვის გადახდა.
- კრიპტო და/ან მსგავსი ტიპის აქტივის (მათ შორის საინვესტიციო მოდულით სარგებლობის მიზნებისთვის განხორციელებული გადახდები) შესაძენად/დასაკონვერტირებლად განხორციელებული გადახდები.

1.4. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ აუკრძალოს ნებისმიერ პირს აქციაში მონაწილეობა და/ან არ გადასცეს საჩუქარი ბანკის შიდა პოლიტიკებისა შესაბამისად.

2. აქციის აღწერა

2.1. აქციის მოქმედების განმავლობაში, მომხმარებელი, რომელიც Miles&Smiles თიბისი კონცეპტ Visa Signature ბარათით შეასრულებს ჯამში მინიმუმ 1500 ლარის ოდენობის გადახდას და ამასთან ყველაზე მეტ გადახდას, გახდება გამარჯვებული და გადაეცემა Disneyland Paris-ის 4-კაციანი საგზური;

2.2. აქციაში მონაწილე თითოეული მომხმარებელი აქციის მოქმედების პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეძლებს მიიღოს აქციით განსაზღვრული საჩუქარი.

3. აქციის საჩუქრის გადაცემა

3.1. გამარჯვებულ მომხმარებელს საჩუქართან დაკავშირებით, ბანკი დაუკავშირდება აქციის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

3.2. თუ მომხმარებელმა განაცხადა უარი საჩუქრის მიღებაზე, აქციის ფარგლებში საჩუქარს მიიღებს რიგითობით შემდეგი მომხმარებელი;

3.3. მომხმარებლისთვის დაუშვებელია აქციის ფარგლებში მიღებული საგზურის მესამე პირზე გასხვისება/გაჩუქება/გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში გაუქმდება

აღნიშნული გამარჯვებულის შედეგები და გამარჯვებულად გამოცხადდება შემდეგი საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილე.

3.5. ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევაზე, თუ გამარჯვებულს შეექმნა ნებისმიერი სახის პრობლემა მოგზაურობისას, საზღვარის გადაკვეთაზე ან არ იქნა დაშვებული საფრანგეთის ტერიტორიაზე.